



№ 6 (1400) მ ა რ თ ი 1973

საქსა

გამოცემის 50-ე წელი ფასი 20 კაპ.

— რა გვიქნა ამ გაზაფხულმა. არ ახლან თოვლის
ფარდა ჩვენს გაფუჭებულ საქმეს?

როკვა ლაიით

ავფრინდით მოსკოვიდან და
 ღრუბლებში ვიწყეთ თარეში...
 თბილისმა რომ ვერ მიგვიღო,
 ქალაქ სოხუმში დავეშვით.
 თვითმფრინავიდან გადმოგვცხეს,
 დგას ღამე — მძიმე, ლოდინით.
 გამოგვიცხადეს: დილაღე
 იოგინდებათო ლოდინი!
 აეროპორტის სასტუმროს
 ვეახლეთ დიდიც, პატარაც...
 უმალ სხეულში ჩავვიძვრა
 სიცივის კუმტი სატანა.
 „გათბობა რატომ არ არის?“
 იყო პასუხი ჩვეული:
 „რა ვიყოთ, წყლის სადღუღარი
 ქვაბი გავვისკდა, წყეული!“
 ოთახებში რომ დავრიგდით,
 თქვენა ჭარბ ჩემი ბატონი,
 ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ
 თუნდ ერთი რადიატორიც...
 ვგრძნობ: თავს და ფეხებს ველარ
 ვგრძნობ, სხეებსაც ეს გრძნობა აწუხებთ.
 ყინვა — უსახო ფასკუნჯი —
 თანდათან გვიჭერს მარწუხებს.
 ისეთი როკვა ავტეხეთ,
 თქვენა ხარბ ჩემი ბატონი,
 ინგლისელივით ვისწავლე
 „როკენ-როლი“ და „ჩარლსტონი“.
 ბზრიალ-ტრიალმა მკლავები
 გვიქცია ფრთებად, აფრებად;
 ისე გავხურდით, ჰაერში
 თვითონ შეგვეძლო აფრენა...
 მკითხველო, ჩემი ნათქვამი
 თუ გინდა დადასტურო,
 წინახულე სოხუმის
 აეროპორტის სასტუმრო!

გაიოჯ შავერჯაშვილი

ღია ბარათი შედარებას

ის ზაფხული, როგორც იქნა,
 უსინათლოდ გავატარეთ,
 ყველა წყენა, საყვედური
 ქარს და ნიავს გავატანეთ.
 ზამთარი! ახლა მაინც
 გაგვინათეთ, რა იქნება?
 დღეში ცხრაჯერ ჩააქრობთ და
 მერე ცხრაჯერ აინთება.
 ბნელ ჯოჯოხეთს ემსგავსება
 ჩვენი ბინის სართულები,
 ამდენ ჩართვა-გამოთიშვას
 ვერ უძლებენ ნათურები.
 ტელევიზორს აკანკალებს,
 გადაიწვა მაცივარი,
 განა ყველას გული აქვს და
 განა ყველა კაცი არი?
 ამ ზამთარში, მობინადრეთ,
 არ გეგონოთ, არ უწია:
 ზოგს ინფარქტი დაემართა,
 ზოგსაც წნევამ აუწია!
 კონსტრუქტორო, გეხვეწები,
 თუ გამოიგებ ტკივილს, ვინძლო:
 იქნებ ნავთზე გადამირთავ
 მაცივარს და ტელევიზორს?
 ზოგს არაფრად უღირს საქმე,
 ზოგს ეშმაკი ვერ ასვენებს...
 კიდევ კარგი, მზის ჩამრთველი
 ჯერ არ უდგათ ქელასელებს!

ლილი ნუსუბიძე



— გთხოვთ, გამცემთ პასუხი ერთ კითხვავზე: როგორ გამოიხატოთ თქვენმა ცხვარმა?

სინიორ დოქტორ!

— იტალიაში ყოფილხართ? — შემიტია თანამგზავმა, როგორც კი მარტო დავრჩით კუბეში, — არა? საოცარი ქვეყანაა... ღიას! ღიას!
 და დაიწყო! მჭევრმეტყველების ნიაღვარმა ამიტაცა და, შემდგომი სამი საათის განმავლობაში, დამაქროლებდა აპენინის ნახევარკუნძულზე. მატარებელი უკვე ხაშურს უახლოვდებოდა, როდესაც, ღონემიხილი, კუთხეში მივწვიქი, თვალები დავხუჭე და გადარჩენის გეგმის შემუშავებას შევუდექი: „გეცნობ? არა, სჯობს მოვახარხო... ვინმემ რომ შემომისწროს? არა, ჩავალ ხაშურში და შემდეგ მატარებელს დაველოლები...“

საიდანაც, შორიდან, ჩემს გონებას აღწევდა სიტყვათა ნაკადი:

— გაგიგონიათ, ალბათ, იტალიელები ქართველებს გვანანო პირისახით, ტემპერამენტით, სიმღერისადმი არნახული სიყვარულით. ბევრი რამ გვაკავშირებს და ჩვენს ნათესაობაზე ლაპარაკობს. მაგალითად, გვარები: ტორიჩელი — მერტრეველი, ბორჯია — ბოჯგუა, მანიანი — მარგიანი... მაგრამ სხვაობაც ბევრია. არ შემიძლია არ მოგიყვებთ ერთი კურიოზული, ჩვენივე სრულიად წარმოუდგენელი ამბავი: იტალიაში თითქმის ვერ ნახავთ აღამიანს, რომელსაც რაიმე ტიტული ან წოდება არ გააჩნია... ამან მართლაც დამაინტერესა, რადგანაც წიგნებში რომისა და იტალიის ისტორიის შესახებ ამგვარი არაფერი მინახავს.

— ღიას, ღიას, უბრალო მიმართვა „სინიორ“ (ჩვენებურად — „ბატონო“) უკვე არავის აკმაყოფილებს და ამგვარ მიმართვაზე იტალიელმა შეიძლება არაფერი გიპასუხოთ. აუცილებლად უნდა დაუმართოთ რაიმე ტიტული... არა, ბატონო ჩემო, თქვენ ვერ გაიძიებთ! იტალიაში მონარქია, კარგა ხანია, გაუქმდა, რესპუბლიკური წყობაა. მართალია, კულაბზიკა თავადები, მარკიზები, ბარონები და სხვანი სავიზიტო ბარათებზე დღესაც დაწვრილებით აღწერენ საკუთარ დაოსრულებულ ტიტულებს, მაგრამ ისინი არ ქმნიან ამინდს. ეს უკვე გუშინდელი დღეა. ჩვენს დროში, მეოცე საუკუნის უჩანასქელ მესამედში, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოუდგენელ დონეს მიაღწია და მეცნიერება საწარმოო ძალად იქცა, იტალიელს სულ სხვა წოდება და ხარისხი აინტერესებს. მაგალითად, „ბაკალავრი“, „მაგისტრი“ (ჩვენს

კანდიდატს უდრის), მაგრამ ამგვარი „კანდიდატი“ უკვე აღარ ძღვრს და ამიტომ უფრო ხშირად გაიგონებთ „სინიორ დოქტორ!“ ასე, რომ, მეცნიერებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ბევრი მრეწველი და ბიზნესმენი, რომელმაც, როგორც ითვლება, სარგებელი კოუტანა სახელმწიფოს, ატარებს „შრომის კავალერის“ წოდებას... და ბოლოს, მოგახსენებთ, რა ფართო ხასიათი მიიღო ჩვენს დროში მართვის სისტემა — მენეჯმენტმა. ამასთან დაკავშირებით ფართოდ გავრცელდა „პრეზიდენტობა“. ღიას, ჩემო ბატონო, იტალიაში დღეს ასე ათასზე მეტი პრეზიდენტი...

როგორც ჩანს, ეცემა გაიღუვა ჩემს თვალებში.

— არ გჯერათ, ხომ? — მან გახსნა თავისი პორტფელი, დიდხანს ეძებდა შიგ რაღაცას. შემდეგ ამოიღო უკვე საკმაოდ შეფერობილი გაზეთის ფურცელი:

— აგერ, ბატონო, მომისმინეთ: „მხოლოდ მუნიციპალურ და სახელმწიფო დაწესებულებებში ირიცხება დღეს 59.340 „პრეზიდენტი“. ამას დაუმატეთ აქციონერულ საზოგადოებათა კიდევ 41.336 „პრეზიდენტი“ და გამოვა, რომ ყოველ 550 იტალიელზე (ბავშვების ჩათვლით) მოდის ერთი „პრეზიდენტი“. როგორ მოგწონთ ყოველივე ეს? ჯამში გამოდის ზუსტად 100.676 „პრეზიდენტი“... მომითმინეთ, ბატონო ჩემო, აი, კიდევ ერთი საბუთი.

მან კიდევ ერთი ვაზეთი ამოათრია პორტფელიდან: „რაოდენობა ხარისხს რომ შეეფერებოდეს, იტალია, კარგა ხანია, იქცეოდა სოციალურ სამოთხედ“. მაგრამ ასეა თუ ისე, დღეს თქვენ ვერ მიმართავთ იტალიელს უბრალოდ — „სინიორ!“ უნდა დაუმართოთ ან „დოქტორ“, ან „პრეზიდენტი“, ან რაიმე ამგვარი, თუ გუფრთ, ყურადღება მოგაქციონ...

მართლაც, ყოველივე ეს საკმაოდ საოცარი და ჩვენივე სრულიად წარმოუდგენელი იყო. მე ვფიქრობდი ყოველივე ამაზე. ვფიქრობდი იმაზეც, თუ ვინ იყო ეს ჩემი ტუტუცი, უბრდელი თანამგზავრი, რომელიც ასე თავზედურად მომმართავდა „ბატონო!“ და არა „ბატონო დოქტორ!“

ბახის ინჟინციები

არის ერთი რამ, რაშიც ყველა მომავლადი სასურველია ერკვეოდეს, თუ იგი ადამიანთა საზოგადოების ნამდვილი წევრია და ეს ერთი რამ არის ის, რომ ერთმანეთისგან არჩევედ საჭიროსა და აუცილებელს. ის, რაც აუცილებელია, საესებით ბუნებრივია და გასაგები, რომ საჭიროცაა, მაგრამ ის, რაც საჭიროა, აუცილებელი არაა აუცილებელიც იყოს.

აუცილებელია, რომ მამაკაცს ეცვას შარვალი, მაგრამ რა აუცილებელია, ეცვას იგი ქალს? ანდა, საჭიროა ადამიანს ჰქონდეს სინდისი, მაგრამ რა აუცილებელია, ჰქონდეს იგი ყველას? მაშინ ხომ პატიოსან კაცსა და ვაჭარ ბუშტიანოს ღიმილს ერთი ფასი ექნებოდა.

თითქმის ყველაფერი, რაც იყიდება, საჭიროა და ოჯახში გამოყენებას პოულობს, მაგრამ ვიდრე შეიძენდეს, უნდა შეგწვედეს უნარი, ჩახედვდეს, აუცილებელია თუ არა იგი შენთვის, რომ ყარტაყურტა ვიღაცების სიხარბემ შენც არ ავიყოლიოს და ჩინიმახობით გამდიდრების ციებ-ცხელებამ ზვარაკად არ შეგიწიროს.

არ ვიცი, თქვენ გემართებათ თუ არა ასე, მაგრამ მე ხშირად მონდის, რომ, როცა ფული მაქვს, სწორედ მაშინ მოისპობა ის, რაც ჩემთვის აუცილებელია და როცა არის ის, რაც ჩემთვის აუცილებელია, თითქმის ჯიბრზე, მაინცდამაინც მაშინ დაგრჩენილვარ ჯიბეებამობერტყილი. შეიძლება ეს იმიტაც იყოს გამოწვეული, რომ უბრალოდ, არ ემთხვეოდეს ერთმანეთს მალახივებში გაქანებული ვაჭრობისა და ჩემი ხელფასის დღეები. საქმე იმაშია, რომ ჩემი ხელფასი ყოველი თვის შუა რიცხვებშია, ხოლო მალახივებში საქონელი ყოველი თვის ბოლო რიცხვებში გამოაქვთ.

სათჯახო საბჭოზე, ჩემი ცრლი რომ თავმჯდომარეობდა, გამოტანილი გადაწყვეტილებით, ამჯერად, ჩემთვის უკიდურესად აუცილებელი, ჭუჭყის ამტანი, შარვალი უნდა მეყიდა.

პირველ რიგში უნივერსალს მივაშურე, მაგრამ უკვე მის მისადგომებთან ისეთი ბრძოლები გაემართათ, გამოცდილ გადაწყვიდედელსაც კი გაუჭირდებოდა შეღწევა. რა აზრი ჰქონდა ახალი შარვლის შექმნას, თუ იმ შარვალს დამატოვებინებდნენ, აქამდე რომ კეთილსინდისიერად მემსახურა და ჩემი პრინციპული პატიოსნება შეუბღალავად შეინახა?

შუაგულ ქუჩაში გულდაგულ მოსული მომხმარებლისთვის ხელდახელადამოსროლილ თეფშებზე ხელჩართული ბრძოლა და წვილ-კვილით გახმოვანებული წევვა-გლეჯვა ტანში მბურძგლავდა. გამარჯვებულები ომ-გადახდილებივით გამოდიოდნენ. თავშელები შემოგლეჯოდან, პალტოები შემოდლეტოდან, თვალები დაეპარაწათ, კისერზე ძარღვები ჟანტი სარეცხის თოკივით დამაგვროდნენ, სიმწრის თფლი სახის ნაოჭებში გზას პოულობდა... მაინც აღტაცებას გამოთქვამდნენ, მაინც მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაინც ბედნიერების მეშვიდე ცაზე იყვნენ...

იქაურობას შევეშვი და ქუჩას გაუყევი. ყველა სადარბაზო და ჭიშკარი დახვავებული საქონლით იყო გამოტენილი. სააშკარაოზე გამოეფინათ ქალისა და მამაკაცის საცვლები, უჯრულა შოტლანდურები, ნიარფერი ტრიკოტაჟი... ერთი ეზოს ჭიშკარს ხალხი ჯგროდ მისვოდა. წვერებმოშვებული გამყიდველი, რკინის გისოსებს იქიდან, საიმედოდ და გულარხინად ვაჭრობდა. ჭიშკრის თავზე ქალის იმპორტული ცალი ჩექმა და ცალი ჯდანი ჩამოეკიდა, რაც ნიშნავდა: გინდა იმპორტული ჩექმები? იყიდე ჯდანიც, არ იყიდი ჯდანს? ვერ ეღირსები იმპორტულ ჩექმებს!

ჯარ-ჯამათის ტალღამ ქუჩის მეორე ნაპირზე გამრიცხა. მზა ტანსაცმლის მალაზიის წინ ისეთი გულშემზარავი წვილ-კვილი იდგა, თავზე, ხელები დავიფარე, თავის ქალა არ ამხდოდა. არავინ იცოდა, რას არიგებდნენ, რადგან შიგ შესული, მერე უკან გამოსული აღარავის ენახა. აქ შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რაც ჩემთვის აუცილებელი იყო, მაგრამ შიგ შესვლილი ვიყავი?

მოულოდნელად, საიდანღაც გამოდწეული ხალხის მორევში მოვხვდი. ფეხის წვერებზე ავიწიე და მხარბეჭიანი დედაკაცის იქით ოქროულობის მალაზია დავლანდე. „კი მაგრამ, ოქრო რაღა აუცილებელია?!“ გავიფიქრე ჩემთვის და გვიან, ძალიან გვიან მივხვდი, რომ ყველაფერს ყიდულობენ, ყველაფერს, რაც იყიდება. აუცილებელს კი არა, იმასაც, რასაც საერთოდ არავითარი დანიშნულება და გამოყენება არა აქვს...

და რადგან ყველა ყველაფერს ყიდულობდა, მეც მომესურვილა რაღაცის ყიდვა, მეც მომესურვილა ფულის დახარჯვა, მეც მომესურვილა მარაქაში გარევა, მე რა, სხვაზე ნაკლები ვიყავი? რა მნიშვნელობა ჰქონდა, რას ვიყიდდი, ოღონდ კი მეყიდა, ოღონდ კი მეც მჭეროდა ხელში რაღაც, მეც მქონოდა მეოჯახე კაცის შეხედულება...


მოვისხედე და იქვე, გვერდით, ფირფიტების მალაზია დავინახე. არც არავინ შედიოდა, არც არავინ გამოდიოდა. ჯიბრზე ამ მალაზიაში შევედი. წამლად ერთი კაციც არ ჩანდა. დახლოვდა და სტენდზე ერთმანეთის მიჯრით ჩამდგარიყვნენ ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, ჰაიდნი... „ეს მაინცაა თავისუფლად“, — გავიფიქრე...

— მაგ საცოდავს შარვალი არ აცვია და ფირფიტებს ყიდულობს, ვითომ სამღერლად ჰქონდეს საქმე, — სახლის კიბეებზე რომ ამოვდიოდი, აშკარად გავიგონე, როგორ უთხრა მეზობელმა მეზობელს.

— შენ კიდევ უშარვლოდ მოხვედი?! — დამიბღვირა ცოლმა და ჩემდა უნებურად, გაღუნულ ფეხებზე დავიხედე...

მირიან ლეჟავა

ნ.ს. ბ. ფიროსსანაშვილი



— ბატონო გირჩი! ხომ არ იცით, როდის დამთავრდება სტალიონის მშენებლობა?
— სტალიონი რაღად ვინდა! ახლანდელი წინაპრის მიხედვით, ფეხბურთი აღარ არის და კენალტებს დარბაზშიც პარგად დავპრტყავთ!

ნ.ს. ჯ. ლოლუასი



— ვინა ხომ არ დავგრჩა?
— ნაგავი დავგრჩათ!

დიდხანს, ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, ვიდრე შენ მოგმართავდი, ძვირფასო ნიანგო! შენ ხომ სიცილით ებრძვი შენს „მეტრებს“? ჩვენი (მე ბევრის სახელით ვწერ, თორემ მრავლობითი და მხოლოდითი რიცხვების ერთმანეთისაგან გარჩევა კი ვიცი) ყოფა და საქმე სასაცილო კი არა, ძალიან სერიოზული და სატირალია. რაკი ჩვენმა სავაგლანო და სატირალმა ყოფამ ცრემლი გამახსენა, მივხვდი, რომ სწორედ შენთვის უნდა მომემართა. გამიგონია (ყოველ შემთხვევაში ერთ ძველისძველ ენციკლოპედიაში ეს ასე სწერია და მეც იქ ამოვიკითხე), ნამდვილი ნიანგი მსხვერპლს წყლისპირას სულგანაბული უთვალთვალე, ელვისებურად ესხმის თავს, გადასანსლავს და, მონელების დროს, თვალთაგან ცრემლები სდისო. ალბათ შენც იმიტომ გქვია „ნიანგი“, რომ ასეთი ცრემლის ღვრა გეყვარება, თორემ ჩვენში ნიანგი, ზოოპარკის გარეთ, თვალთაგან უნახავს და სატირული-უმორისტულ ჟურნალს ვინ და რატომ გიწორა ეს სახელი, ვერაფრით ამიხსნია. ახლა ჩვენს გაჭირვებას მოვახსენებ: **საბინაო კოოპერატივი „საბჭოთა მწერალი“ (№ 117, ს. ჩიქოვანის ქუჩა № 22, ყოფილი ხილიანის ქუჩა) საცხოვრებლად ჩაბარდა 1970 წლის ივლისში, სახლი აავო „მალღივმშენის“ № 10 სამშენებლო ტრესტმა** (ყოფილი უფროსი პ. ნაკაიძე, ახლანდელი — ი. არბიელიძე, მთავარი ინჟინერი დ. ჯობავა). სახლი დაუმთავრებელი ჩაბარდა, რის თვალნათლივ ნახვა შეგიძლია, ძვირფასო ნიანგო, შენი ბედნიერი თვალთაგან რასაც უამისოდაც ცხადად ადასტურებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1970 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება № 352-ის ოქმი № 15.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

„1. დამტკიცდეს ხილიანის ქუჩაზე კოოპერატივ „მწერალი“ კავშირი-117“ მსართულიანი, მშ-ბინიანი საცხოვრებელი სახლის № 3 კორპუსის ექსპლაციაში მიღების სახელმწიფო აქტი, 2755 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართით და გაშვებულ იქნეს ექსპლაციაში.

2. დაევალოს „მალღივმშენის“ № 10 ტრესტს (ამხ. პ. ნაკაიძე) და საბინაო და სააგარაკო კომერციული მშენებლობის სამმართველოს (ამხ. მეგრელიძე):
ა). 1970 წლის გათბობის სეზონის დაწყებამდე გამოსცადონ შენობა თბოეფექტზე და ცხელწყალმომარაგებაზე;
ბ). მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე დაამთავრონ ლიფტების მონტაჟი, მათი

სათანადო ორგანოებში გაფორმებით;
გ. ერთი თვის განმავლობაში დაამთავრონ ფასადის მხრიდან ეზოს კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაო.

3. „მალღივმშენის“ № 10 ტრესტმა (ამხ. პ. ნაკაიძე) ერთი წლის ვადით ვაცეს საგარანტიო — ხელშეკრულება საბინაო სამშენებლო კოოპერატივის გამგეობაზე სანტექნიკური, ელექტრო და მოპირკეთების ყველა სამუშაოები“.

(ს ტ ი ლ ი და მ ა რ თ ლ წ ე რ ა და ც უ ლ ი ა).

გადაწყვეტილებას სხვა მუხლებიც აქვს, მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ სახლი მართლაც დაუმთავრებელი ჩაგვბარდა, ესეც კმარა. თავს არ შეგავწყენთ იმის ჩამოთვლით, რა სახის სამუშაოები იყო სახლის სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული და რა არ შესრულდა. ამის თაობაზე მივმართეთ მშენბანკს, შედგა სათანადო აქტი და ეს ყველაფერი, ჩვენდა იმედოდ, აღწუსდა.

როგორც ხედავთ, საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება № 352 ითვალისწინებდა სახლთან მისასვლელი გზის, ეზოს კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოთა შესრულებას და არა მარტო ითვალისწინებდა, კონკრეტულად ავალებს



— ზოგიერთებს თვითონ არა აქვს წყალი, შენთან თუ სასურავიდან ჩამოდის, ბედნიერი კაცი ყოფილხარ!

კიდევ „მალღივმშენის“ ტრესტს ამის შესრულებას, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესრულებას საშველი არ დაადგა. ჩვენს ეზოს არა აქვს ღვარსაშველი. ვიდრე აქ სახლები აშენდებოდა, ეს ტერიტორია ზოოპარკს ეჭირა. გონიერ ადამიანებს, თავიანთი დამხმარე მეურნეობა რომ არ გაფუჭებოდათ და წვიმის წყალს არაფერი წაეხდინა, აქ დიდი ღვარსაშველი ჰქონდათ გამართული. ღვარსაშველის მიწაში ჩამარხული ნაშთი ამჟამადც კარგად არის შესამჩნევი, თუნდაც შეუიარაღებელი თვალით. ამ ღვარსაშველს მშენებლებმა მიწა წააყარეს, თვითონ არაფერი გაუკეთებიათ და ოთხი მაღალსართულიანი შენობა ღვთის ანაზრად არის მიტოვებული. საწვიმრებიდან საწრეტი მიღებით ჩამოსული წყალი პირდაპირ სარდაფებში ჩაედინება და სახლების საძირკველს „ამაგრებს“. ამას ემატება წვიმის დროს თვითონ ჩიქოვანის ქუჩიდან ჩამომდინარე ღვართქაფი და სარდაფები, რომლებსაც მშენებლებმა იატაკზე ბეტონი არ დაასხეს, მუდმივად წყლითა გვაქვს სავსე. პროექტის მიხედვით სახლის სადარბაზოში მშენებლებს უნდა ჩაესვათ თანჯრის ჩარჩოები და ჭრილის ნახევარი აგურით ამოეშენებინათ. ეს სამუშაო მხოლოდ არქიტექტორების სახლს გაუკეთეს, რომელიც ჩვენგან ათი მეტრის დაცილებითაა აშენებული, სახლები კი ერთნაირი პროექტით აშენდა. მშენებლებმა დაუდევრად და უხარისხოდ გააკეთეს საკანალიზაციო ჭა, რის გამო იგი მაშინვე აივსო და მთელი სიბინძურე მიწის ზემოთ, ზოოპარკის ტერიტორიაზე, მიედინება. ამას ზედ ერთვის თვითონ ზოოპარკის დირექციის აგდებული დამოკიდებულება ჩვენს მიმართ. ეს ადგილი, წინათაც და ახლაც, გამოხრული ძვლებისა და მკვდარი ცხოველების ლეშთა ღია სასაფლაოდ აქვთ გამოყენებული. აქ, დღე-ღამის ყოველ დროს, უპატრონოდ მოწანწაოდ ძაღლების გაუთავებელი ჩხუბი, ყეფა და გნიახი გაისმის. ამ ამბების თაობაზე რამდენჯერმე შეგავწუხეთ ორჯონიკიძის რაიონმასკომის ხელმძღვანელობა, სადაც კარგად მიგვიღეს, მაგრამ როცა გაიგეს, რომ დახმარებას ვსაჭიროებდით, უბრალოდ გავკვიმარტეს: საბინაო სამმართველოს უფროსები ხომ არა ვართ, ასეთ საკითხებზე რომ გვაწუხებთო.

ვის შევასრულებინოთ ქალაქის საბჭოს № 352, ძალზე სამართლიანი, გადაწყვეტილება, გონს ვერ მოვსულვართ.

ძვირფასო ნიანგო! ჩვენს საქმეზე იქნებ შენ მაინც აიხუყო გული და შენებურად ძალზე ბევრი ცრემლი დაღვარო?!
ე. მენსი

7
1973




ამერიკელმა ექიმმა ლევიმ პანამის არხის თავიდან ბოლომდე გაცურვა გადაწყვიტა. არხის ხელისუფლებამ ახირებულ მცურავს, ისევე როგორც გემის გატარებისას, ბუის გადახდა მოთხოვა. ბოლოს და ბოლოს, ლევი მცირე წყალწყვის გემად მიიჩნის და ბუიც ერთი ტონის ანგარიშში გადაახდევინეს.

ნახ. ბ. ლომიძისა



საქართველოს მწერთა კავშირი
24673
18.10.73

75-246



ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი, ნორმან ჯიბსი, რომელსაც შავი მაფისა და კონტრაბანდის საწინააღმდეგო ორ ფილმში იღებდნენ („ნათლიმამა“ და „ფრანგული კავშირი“), ლოს-ანჯელოსის პოლიციამ აეროდრომზე დააკავა, სადაც იგი მექსიკის კურორტ აკაპულკოდან ჩამოფრინდა. ჯიბსს 7 კგ კოკაინი აღმოაჩნდა. ლოს-ანჯელოსის სასამართლომ კონტრაბანდისტ-კინომსახიობს 4 წლით პატიმრობა მიუსაჯა.



აშშ-ში დანაშაულობამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მოსამართლეებიც კი ვეღარ გრძნობენ თავს უშიშრად. ფედერალური სასამართლოს მოსამართლეებმა დაჯავშნული სავარძლები შეიძინეს. მილოუკელ მოსამართლე კრისტი სერაფიმას მუდმივად დაჰყვება ორი პირადი მცველი, ხოლო ჩიკაგოს სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლე ჯორჯ დოლკ-ვალმა, პირად მცველად თვეში 706 დოლარად, საკუთარი ცოლი აიყვანა... მოსამართლის მეუღლე სწაიპერია.

Издатель № 76137